წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 21

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 30 დეკემბერი

2022 წლის 30 დეკემბერს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი: ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა, ლევან მებონია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა, ბაჩანა ქანთარია, რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული,მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თეა სარია, მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი გელა სალია, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12⁰⁰ სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 13³⁰საათზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი,ლევან მებონია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი-არცერთი ) დამტკიცდა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: თეა სარია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

3.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთ ა დაადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდ

ენობებისგანსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: ივანე ბურდული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

4.„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი:ბაჩანა ქანთარია, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი:გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

6.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: გელა სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

7.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: ელენე ბერაია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

8.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: რომან კვარაცხელია, საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე.

მომხსენებელი : კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: კორნელი სალია, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

11.სხვადასხვა

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. საკითხთან დაკავშირებით მან განმარტება გააკეთა, თუ რამ გამოიწვია 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილება: 1)საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად გამოყოფილი თანხა, რომელიც ასახული იყო ბიუჯეტის შემოსულობების მიზნობრივი ტრანსფერის მუხლში, გაიზარდა 128.0 ათასი ლარით , შესაბამისად, იგი ასახულ იქნა ბიუჯეტის გადასახდელების-„ საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის"- მუხლში.; 2)საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 დეკემბრის N2437 განკარგულების საფუძველზე „ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილებების დელეგირების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისთვის, ზამთრის პერიოდში, გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, გამოყოფილი თანხა, რომელიც ასახული იყო ბიუჯეტის შემოსულობების სპეციალური ტრანსფერების მუხლში, გაიზარდა 137.6 ათასი ლარით, შესაბამისად, იგი ასახულ იქნა ბიუჯეტის გადასახდელების-„ ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისთვის, ზამთრის პერიოდში, გათბობით უზრუნველყოფის მიზნით"- ფულადი დახმარების მუხლში. საბოლოოდ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები დაზუსტდა 265.6 ათასი ლარით და განისაზღვრა 22,382.3 ათასი ლარის ოდენობით, ასევე 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები დაზუსტდა 256.6 ათასი ლარით და განისაზღვრა 25,799.1 ათასი ლარის ოდენობით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია,მანანა ჭანია, ზაზა უბილავა,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი,ლევან მებონია,დათა კუკავა,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 1 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N39.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვის დაწყებამდე, საკრებულოს სხდომას შემოუერთდნენ საკრებულოს წევრები: ნანა კეკუა, თენგიზ ფიფია, ბაჩანა ქანთარია, ხოლო სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა ლევან მებონიამ.

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა. მან აღნიშნა რომ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არაერთხელ იქნა განხილული და შეჯერებული კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია NDI ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ინიციატივით, საკრებულოს ფრაქციების სრული ჩართულობით, მოეწყო მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა, რისთვისაც მან კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს და NDI-ის წარმომადგენლობას თანამშრომლობისა და კონსტრუქციული ურთიერთობისთვის. ივანე ბურდულმა განმარტა, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დამატებით შემოსული 400 000 ლარის ნაწილი ბავშვთა კვებაზე გადნაწილდა, ხოლო დარჩენილი 180 ათასი ლარი და დამატებით მიღებული სხვა თანხის მთლიანობაში 329 ათასი ლარის გადანაწილება განხორციელდა კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის: 180 ათასი ლარი- ქ.წალენჯიხაში გ.კალანდიას ცენტრალური მოედნისთვის, 70 ათასი ლარი- ზ.გამსახურდიას გორაზე აღმართული ჯვრის რეაბილიტაციისათვის, 40 ათასი ლარი- ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ლ.ქიაჩელის სახელობის მუზეუმის რეაბილიტაციისთვის, 39 ათასი ლარი- ქ.წალენჯიხა ზღვაის დასახლებაში მდებარე კორპუსების კანალიზაციის გაწმენდითი სამუშაოებისთვის. რასაც გამოეხმაურა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარე მაია მიქავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტში დამატებით შემოსული 400 ათასი ლარის გადანაწილება უნდა მომხდარიყო ერთხმად , ერთიანი მსჯელობის შედეგად უნდა გადაწყვეტილიყო სად უნდა ყოფილიყო თანხები მიმართული, რაც არ შესრულდა და რაზეც, პირველ რიგში, საკრებულოს თავმჯდომარის პასუხისმგებლობა იკვეთება. რასაც არ დაეთანხმა მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული და აღნიშნა, რომ ფრაქციების თითქმის ყველა შენიშვნა და წინადადება იქნა გათვალისწინებული, თუმცა ფრაქცია"ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან" შენიშვნები და წინადადებები ბიუჯეტთან დაკავშირებით, ოფიციალურად არ დაფიქსირებულა.

საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა-საქართველოსთვის" თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ აღნიშნა რომ, წინა სხდომაზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირა დამატებითი ღირებულების გადასახადიდან დამატებით შემოსული 400 000 ლარის არასწორად და თვითნებურად გადანაწილების გამო, რაც ფრაქციისთვის მიუღებელი იყო. ფრაქცია მხარს უჭერს პირველკლასელთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფის პროგრამისთვის თანხის ნაწილის გამოყოფას. ფრაქციის შეთავაზება იყო, დარჩენილი თანხა სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციისთვის ყოფილიყო მიმართული, რასთან დაკავშირებითაც, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა განმარტა, რომ სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციისათვის თანხები დაფინანსების სხვა წყაროდან იქნება გამოყოფილი. დღეის მდგომარეობით, ფრაქციას სარწმუნოდ მიაჩნია მერიის განმარტებები,ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მხარს უჭერს აღნიშნული თანხის წარმოდგენილი სახით გადანაწილებას. თუმცა კარგი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო ქ.წალენჯიხის გამსახურდიას და ქიაჩელის ქუჩების რეაბილიტაცია , ასევე საკრებულოს წევრის ზესიკ ფარცვანიას მიერ დასმული პრობლემა, ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების მოგვარებასთან დაკავშირებითაც.

საკრებულოს წევრი დათა კუკავამ საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის გადანაწილებასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ, მიუღებელია ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციისათვის არცერთი თეთრი რომ არ გაიხარჯა, რასაც გამოეხმაურა მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული და აღნიშნა , რომ პრიორიტეტად წელს ახალგაზრდული ცენტრი მშენებლობაა დასახული, დარჩენილი თანხა კი წყალმომარაგების

პრობლემების მოსაგვარებლად მიემართება. რაც შეეხება ახალგაზრდულ ცენტრს, ტენდერი დაახლოებით 2023 წლის 15 იანვრისთვის გამოცხადდება. რაც შეეხება, ფახულანის ადმინისტრაციულ ერთეულში ქალაღალის გზის რეაბილიტაციას, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული რეგიონული განვითარების ფონდიდან შემოსული თანხიდან.

საკრებულოს წევრმა თენგიზ ფიფიამ აღნიშნა, რომ საკრებულოში პირველად წარმოდგენილ 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში არც სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციაზე, არც გორაზე აღმართული ჯვრის რეაბილიტაციაზე და არც ზღვაიას დასახლებაში კორპუსების კანალიზაციის გაწმენდაზე არ ყოფილა საუბარი. არცერთი საკითხის შეჯერება კომისიებზე და არც საკრებულოს სხდომაზე არ ყოფილა და ამ მცირე დროში რა შეიცვალა? ეს არის პარტიებს შორის შეთანხმება, ულტიმატუმი, ამიტომ ვინც ამაში მიიღო მონაწილეობა ისინი მისცემენ ხმას , ფრაქცია „ქართული ოცნება“ ამ პროექტს მხარს არ დაუჭერს.

საკრებულოს წევრის თენგიზ ფიფიას გამოსვლას გამოეხმაურა მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული და აღნიშნა, რომ ჩამოთვლილი წინადადებებიდან წინა სხდომებზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ნაწილი იყო გაჟღერებული, ნაწილი კი-არა, მაგალითად, ობუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში ლ.ქიაჩელის სახელობის ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაზე არაერთხელ იყო საუბარი და შევჯერდით მის რეაბილიტაციაზე ერთხმად, მართალია ქ.წალენჯიხის ზღვაიას დასახლებაში მდებარე კორპუსების კანალიზაციის გაწმენდით სამუშაოებზე არ გვქონია საუბარი, თუმცა მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე ავირჩიეთ ამ პრობლემის მოგვარება. ჩვენ ყველა ფრაქციის წინადადებების და შენიშვნების უმრავლესობა გავითვალისწინეთ ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში და რა შეთანხმებაზეა საუბარი, სრულიად გაუგებარია.

საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ კითხვით მიმართა მომხსენებელს თუ რატომ არ იყო გათვალისწინებული 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ქ ჯვარში სოხუმის ქუჩაზე N1 კორპუსის კედლის მოპირკეთება და ქ.ჯვარში ოჭანეს უბანში სკვერის კეთილმოწყობისთვის თანხა (სულ დაახლოებით 25 ათასი ლარი). ამას გარდა, დაგეგმილი იყო ქ. ჯვარში კორპუსების გადახურვისთვის თანხის გამოყოფა (დაახლოებით 100 ათასი ლარი) რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს 2023 წლის იანვრის თვეში. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს მხარს ვუჭერ იმ პირობით, რომ ეს თანხები აუცილებლად იქნება გამოყოფილი. რასაც გამოეხმაურა მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული და აღნიშნა, რომ ველოდებით დაახლოებით 300 ათას ლარს დაუგეგმავი შემოსავლებიდან, რომელიც იანვრის თვეში დაზუსტდება და აუცილებლად იქნება მოგვარებული დასახელებული პრობლემები.

საკრებულოს წევრმა დათო მესხიამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მწირია, გასაკეთებელი ბევრია, რასაც ბიუჯეტი ვერ გაწვდება, ამიტომ სჯობია ვიმუშაოთ ბიუჯეტის გაზრდაზე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 15 დეპუტატი, (კორნელ სალია, ავთანდილ გაბელია,გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე), წინააღმდეგი 8 (მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილება N40.

მოისმინეს: 3. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ივანე ზურდულმა და განმარტა რომ , დადგენილების ცვლილება განპირობებულია საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" და „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დასაქმებულის საბაზისო თანამდებობრივი სარგოს(1210 ლარი) შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ავთანდილ გაბელიამ.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ბაჩანა ქანთარიის, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილება N41.

მოისმინეს: 4. ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბაჩანა ქანთარიამ და განმარტა რომ , დადგენილების ცვლილება განპირობებულია „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით დასაქმებულის საბაზისო თანამდებობრივი სარგოს 10%-ით გაზრდის გათვალისწინებით (1210 ლარი) .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 22 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, ბაჩანა ქანთარია, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, თენგიზ ფიფია,მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 სექტემბრის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება N42.

მოისმინეს: 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და განმარტა , რომ მერიამ შეისწავლა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო ცენტრის" მომართვა ქ.წალენჯიხა , ზღვაიას დასახლებაში მდებარე (ს/კ N47.11.48.171) უძრავი ქონების და მედანის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასაცხოვრებელი ფართის (ს/კ N47.04.31.145.01/501) უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება-სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გადაეცეთ აღნიშნული ფართები, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს ბაჩანა ქანთარიამ და თენგიზ ფიფიამ.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N54.

მოისმინეს: 6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და განმარტა , რომ მერიამ შეისწავლა ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე კომპლექსური სასპორტო-საგანმანათლებლო, სააღმზრდელო ცენტრის" მომართვა ქ.წალენჯიხა , სალიას ქუჩაზე მდებარე (ს/კ N47.11.44.425) უძრავი ქონების უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება-სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით გადაეცეთ აღნიშნული ფართები, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,თემურ ქარდავა,რომან კვარაცხელია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ზესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N55.

**მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ ელენე ბერაიამ და განმარტა რომ, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერია ექცევა ზღვრული ოდენობის ფარგლებში. შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 4 პოზიციიდან, საჯარო სამსახურის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია დამატებით 2 პოზიციაზე გამონაკლისის დაშვება, ისეთ დამხმარე ამოცანების შესასრულებლად როგორიცაა: საჯარო მმართველობის საკითხებში, მუნიციპალიტეტის მერისთვის შესაბამისი წინადადებების და რეკომენდაციების მომზადება (მერის თანაშემწე საჯარო მმართველობის საკითხებში) და მერის უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა, სოციალურ, პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის სფეროში კონსულტანტი (სოციალურ, პოლიტიკურ და არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის საკითხებში).
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.
კენჭისყრის დაწყებამდე სხდომათა დარბაზი დატოვეს ომარ ქარდავამ და თემურ ქარდავამ.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 18 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ეკა სამუშია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ზესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიაში, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N56

**მოისმინეს: 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის**

შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ და განმარტა რომ, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ექცევა ზღვრული ოდენობის ფარგლებში. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 1 პირი, ხოლო საჯარო სამსახურის ეფექტურად განხორციელების უზრუნველსაყოფად სჭირდება დამატებით 7 პოზიციაზე გამონაკლისის დაშვება.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

კენჭისყრის დაწყებამდე საკრებულოს სხდომას შემოუერთდა თენგიზ ფიფია, ბაჩანა ქანთარია და სხდომათა დარბაზი დატოვა ეკა სამუშიამ.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია,მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია,თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N57.

მოისმინეს: 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია,ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია,თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის თაობაზე განკარგულება N57.

მოისმინეს: 10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ და საკრებულოს წევრებს გააცნო გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში.

საკრებულოს წევრმა დარეჯან დადიანმა აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მუხლიდან აუთვისებელი 7 ათასი ლარიდან სჯობდა გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელით ბენეფიციარებისთვის წინასაახალწლოდ დაგერიგებინათ ვაუჩერები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 19 დეპუტატი, (კორნელ სალია, გიორგი დარსალია,რომან კვარაცხელია, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია,ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, მანანა ჭანია,თენგიზ ფიფია, ზაზა უბილავა, მაია მიქავა, ბესიკ ფარცვანია, დარეჯან დადიანი, ნანა კეკუა,დათა კუკავა,) წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ განკარგულება N58.

მოისმინეს: 11.სხვადასხვა

საკრებულოს სამანდატო, იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რომან კვარაცხელიამ საკრებულოს წევრებს ცნობის სახით მიაწოდა ინფორმაცია საკრებულოს კომისიებში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია